ხელშეკრულება №01-246/2018
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

05 ნოემბერი, 2018 წელი

ქ.თბილისი

შემსყიდველი: სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ლომჯარიას სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - ჯ. მარჯანიშვილის №89/24;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205316399;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი: შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი", წარმოდგენილი დირექტორის რუსლან შულდიკის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად");
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თეალჭრელიძის ჭუჭა №2;
საიდენტიფიკაციო კოდი: 406119178;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE83TB 792 003 602 010 0004;

ერთი მხრივ **შემსყიდველი**, ხოლო მეორე მხრივ **მიმწოდებელი**, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის , მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი" -ს მე-2 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად,** გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ, მიმწოდებლისგან, სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ცხოველთა თავშესაფრის გაწყობილებისა და ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილებისთვის, ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული, სამუშაო იარაღების და მასალების (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. საქონლის მახასიათებლები:

№	დასახელება/აღწერილობა	CPV კოდი	რა-ობა	განზ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
1	ლინოლეუმი 4მ. სახვე/კომერც.	44112230	16	მ²	17.90	286.40
2	ნებო ავტომობილისთვის 300 მლ.	24910000	15	ცალი	10.80	162.00
3	თვითმჭრელი შთლლ 4.2X19 (200 ც) - ყუთი ფანჯრით	44531300	2	შეკვრა	6.10	12.20
4	ხერხი ბენზინზე მოძუძავე 1800W 3000±250 min [1]	42650000	1	ცალი	385.00	385.00
5	მანძილმზომი ლაზერი	34965000	1	ცალი	492.00	492.00
6	ნაკრები სჭვალსახრახნი და ქანჩსახრახნი	42652000	1	ცალი	435.00	435.00
ჯამური ღირებულებები დანაყოფის კოდების მიხედვით: cpv249 – 162.00 ლარი; cpv 349 – 492.00 ლარი; cpv 426– 820.00 ლარი; cpv 441 – 286.40 ლარი; cpv 445– 12.20 ლარი;					**ჯამი**	**1772.60**

1.3. შესყიდვა ხორციელდება ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან 2018 წელს გამოყოფილი თანხით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. გადასცეს შემსყიდველს უნაკლო საქონელი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს 2018 წლის 08 ნოემბრისა;

2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ გადაცემული საქონელი მიწოდების დროს აღმოჩნდა უხარისხო, ნაკლის მქონე ან/და დაზიანებული, სწორი ექსპლუატაციის პირობებში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, შეუცვალოს შემსყიდველს უხარისხო საქონელი, სხვა ახალი იდენტური საქონლით და აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხობით მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

2.1.3. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე, წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტის შესაბამისად.

2.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

2.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3 შემსყიდველი ვალდებულია:

2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

2.3.2. უზრუნველყოს საქონლის მიღება.

2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს **1772.60 (ერთიათასშვიდასსამოცდათორმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს,** დღგ-ს ჩათვლით.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულებაა მოცემული 1.2 პუნქტში.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურება.

4.3. საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

5. საქონლის შესყიდვის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის შესყიდვის ადგილია: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა №2;

5.2. საქონლის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად, აღნიშნულის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს - ტექნიკურ მენეჯერს, გრიგოლ შეყრილაძეს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის დროს განახორციელოს საქონლის შემოწმება.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, ხელშეკრულების 1.2. პუნქტში პირველ, მეორე და მესამე პოზიციებზე მითითებულ საქონელზე ევალება სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების უფროსს გელა გოგიჩაიშვილს, ხოლო ზემოაღნიშნულ პუნქტში მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პოზიციებზე განთავსებულ საქონელზე სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ცხოველთა თავშესაფრის განყოფილების უფროსის მოადგილეს მამუკა საყვარელიძეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

8.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის მიწოდება;

8.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

8.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

8.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9.6. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიყენოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამგვარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ წინამდებარე ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

11.3. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, ის გარემოება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.5. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ, ცვლილებების განხორციელების სასურველ თარიღამდე სამი სამუშაო დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს

მეორე მხარეს. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას (არ იგულისხმება "ფორს-მაჟორი"), რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო	შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი"
დირექტორი	დირექტორი:
_____ / ვახტანგ ლომჯარია /	_____ / რუსლან შულდიკი/

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გვესმის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმომწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი", №01-246/2018) არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
დირექტორი / ვახტანგ ლომჯარია /

კონტროლის განმახორციელებელი პირი:
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების
დეპარტამენტის ისურსაღისელი რეგიონების და მონიტორინგის
განყოფილების უფროსი / ზაზა გოგიჩაიშვილი /

კონტროლის განმახორციელებელი პირი:
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების
დეპარტამენტის ცხოველთა თავშესაფრის
განყოფილების უფროსის მოადგილე / [illegible] /

ფასების კვლევის და საჭიროების მიღების
განმახორციელებელი პირი:
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტი, ქვეწილეული მენეჯერი / გრიგოლ შუქრილაძე /

ვიზირება:

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
დირექტორის მოადგილე / ლევან მამალაძე /

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი / ირაკლი ჰანტერია /

სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
(შესყიდვების მენეჯერი) / მაკა ლომჯაშვილი /

სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
(იურისტი) / კახაბერ იოსელიანი /